



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

6200 ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141
ტელ-ფაქსი: 6-72-09

№ 01-40/319

29 აპრილი 2011 წელი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯულელაშვილს

ბატონო ტატო,

წარმოგიდგენთ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 11 აპრილს გამოცხადებულ №34 კონკურსის ანგარიშს, რომელიც შეეხება ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს 2900 მეტრიანი მონაკვეთის (დავით აღმაშენებლის №275-№301 მოპირდაპირედ) ჯებირისა და სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია - მშენებლობის დეფექტური აქტებისა და საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვას.

ღრმა პატივისცემით,

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე
მუნიციპალიტეტის გამგებელი

ასლან ყურშუბაძე



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №-01-19/216

2011 წლის 4 აპრილი
ქ.ქობულეთი

ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს 2900 მეტრიანი მონაკვეთის (დავით აღმაშენებლის №275-№301 მოპირდაპირედ) ჯებირისა და სანაპიროს საჯალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10² მუხლის, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს 2900 მეტრიანი მონაკვეთის (დავით აღმაშენებლის №275-№301 მოპირდაპირედ) ჯებირისა და სანაპიროს საჯალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვის მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ასლან ყურშუბაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი - კომისიის თავმჯდომარე;
- არჩილ დუმბაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ნათია ღორია - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი - კომისიის მდივანი;
- ფატი ჯინჭარაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- ოლეგ კარალიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- ზაალ ბაჯვლიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- გურამ ვერულიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
- ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი.



2. სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით კომისიის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით შეიქმნას სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

დავით ნოღაიდელი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი;

ბადრი რომანაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;

3. საჭიროების შემთხვევაში კომისიის მუშაობის პროცესში მონაწილეობის მიხედვად მოწვეულ იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები.

4. კომისია მუშაობას წვევს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ხუბალაშვილის ქ.№-30).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნ. ბერაძე

ქვემოქვეყნის თამარ შვიცი ხანაძის 2900 მეტრიახი მონაკვეთის (დაეო
აღს.შენებლის N275-N301 მონაწილეობით) აკრძალვის და ხანაძის ხეივანი ხაზის
რეაბილიტაციის-შენებლობის ხარისხიერ-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
მომხსენებლის შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის ხსენების

ო ქ მ ი №1

ქ ქობულეთი

11 აპრილი 2011 წელი

ხსენების ექსპრტობენ: კომისიის თავმჯდომარე – ასლის ვერძუბაძე, კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე – არხელ დუმბაძე, კომისიის წევრები: ფატი აბუქაძე,
თელე კარბაძე, ზაფა ბაკულოძე, გურამ ვერულოძე,
კომისიის მდივანი – ნათია ღორია,
აპარატის წევრები: დავით ხოლაძე, ბაგრუ რომანაძე.

დღის წესრიგი:

ქვემოქვეყნის თამარ შვიცი ხანაძის 2900 მეტრიახი მონაკვეთის (დაეო
აღს.შენებლის N275-N301 მონაწილეობით) აკრძალვის და ხანაძის ხეივანი ხაზის
რეაბილიტაციის-შენებლობის ხარისხიერ-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
მომხსენებლის შესყიდვის მიზნით კონკურსის გამოცხადების თარიღზე გააცხადება
საკონკურსო პირობების განახედებისა და დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: კომისიის მდივანი – ნათია ღორია)

მომხსენებ: მომხსენებელმა წარმოადგინა კომისიის აპარატის მიერ წარმოადგენილი
საკონკურსო პირობებისა და კონკურსის გამოცხადების შესახებ გააცხადების პროექტი.
კომისიამ ვათხედდა წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია (ხანაძის ხეივანი
ხეივანი ხაზის).

შესყიდვამ მოსაწოდდა პროექტითავე შეუძლება განხორციელდეს შესყიდვა
კრიტერიუმებით და კრიტერიუმების კოეფიციენტებით: მომხსენებლის დონორულება – 0,3,
ვაშლიდობა – 0,4; ვადა – 0,1.

კომისიის უკვე აღნიშნულ მხარე დაეკარა წარმოდგენილ ვინაობებს.

დასადაგბებ:

1. დაბრუნების ხაზიკერხი დოკუმენტაცია და ხაზიკერხი განუხადება;
2. შეკვეთაში მისაწვლად პრეტენზიების შეყვება განხორციელდეს შემდეგი კრიტერიუმებისა და კრიტერიუმების კოეფიციენტებით: მომსახურების დონე/კვლევა - 0.5; განხადება - 0.4; კვალი - 0.1.
3. აღნიშნულ უზრუნველყოფის ხაზიკერხი განუხადების განმარტების თვითკვლევი მითხიებისა და მსხვილ მთხადარული დოკუმენტაციის განუხადების ხაზიკერხი შეკვეთების ხაზიკერხი.

კომისიის თავმადმხრე:

ახილან კერხიძე

კომისიის თავმადმხრის მოხადებელი:

ახილან კერხიძე

კომისიის წევრები:

ლევან კერხიძე

გ.წმ

კომისიის წევრი:

ლევან კერხიძე

ლევან კერხიძე

აღნიშნულ წევრები:

ლევან კერხიძე

ლევან კერხიძე

ლევან კერხიძე



სამართლებელს ბარემოს მაცვოს საბოგისტრო
 MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION OF GEORGIA

ბარემოს ეროვნული სააგენტო
THE NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

საქართველო, 0112 თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.150/150 David Agmashenebeli ave. 0112 Tbilisi, Georgia
 Tel:(+995 32) 439502, Fax:(+995 32) 439503; E-mail: info@environment.ge

“15” “04” 2014 წ.
 № 19-16/109
 თქვენი 201 წლის “ ” “ ”
 № _____ წერილის პასუხად

ქობულეთის მუნიციპალიტეტს

ქ. ნ. ლომიძე
ქობულეთი
18.04.11

სხვა ბარემოს ეროვნული სააგენტოსათვის ცნობილი გახდა თქვენს მიერ
 გამოცხადებული კონკურსის წესით (ქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს 2900
 მეტრიანი მონაკვეთის (დავით აღმაშენებლის №275-№301 მოპირდაპირედ) ჯვებისა და
 სანაპიროს ხავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობის დუფექტური აქტებისა და
 ხაროექტო - ხახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის) შესყიდვის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გამოეთქვათ სურვილს მონაწილეობა
 მივიღოთ თქვენს მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

პატივისცემით

ქ. ნ. ლომიძე
 შალვა ჯავახიშვილი
 სააგენტოს უფროსი



11.22.11

საქართველოს მინისტრობის
 განყოფილება
 ბარემოს № 992
 04

საკონკურსო წინადადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის ცნობილი გახდა თქვენს მიერ გამოცხადებული კონკურსის წესით (ქ. ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს 2900 მეტრიანი მონაკვეთის (დავით აღმაშენებლის №275-№301 მოპირდაპირედ) ჯებირისა და სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობის დეფექტური აქტებისა და საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის) შესყიდვის შესახებ.

უოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ თქვენს მიერ გამოცხადებულ კონკურსში და წარმოგიდგინო ჩვენს შემოთავაზებას შემდეგი პირობებით:

1. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: ჩვენს მიერ წარმოდგენილი წინადადება ძალაშია და მოქმედებს 2011 წლის 18 აპრილიდან 2011 წლის 18 მაისის ჩათვლით.
2. კონკურსით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა: ჩვენს მიერ აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებულ იქნება ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში.
3. საკონკურსო წინადადების ფასი: 33900 ლარი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

საკონკურსო წინადადების დანართები:

1. ინფორმაცია ანალოგიური (მსგავსი) პროექტების მომზადებისა და განხორციელების შესახებ;
2. ორგანიზაციის რეკვიზიტები;
3. სააგენტოს დებულების დამტკიცებისა და სააგენტოს უფროსის დანიშვნის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებები;
4. ცნობა გაცემული ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, რომ არ მიმდინარეობს სააგენტოს გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოება;
5. ცნობა გაცემული ს/ს "პროკრედიტ ბაი"-სა და ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს მიერ, სააგენტოს კუთვნილ ანგარიშებზე ინკასოს არარსებობის შესახებ;
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა სააგენტოს მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;

შალვა ჯაფარიძე
სააგენტოს უფროსი





საქართველოს ბარემოს დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION OF GEORGIA

ბარემოს ეროვნული სააგენტო
THE NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

საქართველო, 0112 თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.150/150 David Agmashenebeli ave. 0112 Tbilisi, Georgia
Tel:(+995 32) 439502, Fax:(+995 32) 439503; E-mail: info@environment.ge

“___” “_____” 201 წ.

№ _____

თქვენი 201 წლის “___” “___”

№ _____ წერილის პასუხად

1. სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“
2. ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.№150
3. საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
4. საბანკო რეკვიზიტები , სს „პროკრედიტ ბანკი“
5. ბანკის კოდი : 220101922
6. ანგარიშის №GE11PC01133600100049792
7. ტელ: 43 95 45



**ინფორმაცია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2007-2010 წლებში
ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ, მიზნობრივი
პროგრამა/ღონისძიება – “ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში” შესრულებული
ნაპირდამცავი ღონისძიებების ჩამონათვალი**

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2007-2010 წლებში მიზნობრივი პროგრამა/ღონისძიება – “ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში” შესრულებული იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი ობიექტების საპროექტო დოკუმენტაცია, რომელზეზედაც სააგენტო ახორციელებდა საავტორო და ტექნიკურ ზედამხეველობას.

შავ ზღვაზე შესრულებული ნაპირსამაგრი სამუშაოები

1.	ანაკლისი შავი ზღვის სანაპიროს რეაბილიტაციისა და ნაპირების ეროზიისაგან დაცვის პროექტი
2.	ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი, მდ. ჩაქვისწყალზე, სოფ. ხალას სკოლასთან ნაპირსამაგრი სამუშაოები
3.	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, ბათუმის ნავსადგომის გასწვრივ მდ.ჭოროხის მარჯვენა ნაპირის ნაპირდამცავი ნაგებობა
4.	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვი, მდ.ჩაქვისწყლის მარჯვენა ნაპირის დამცავი ნაგებობა საავტომობილო და სარკინიგზო ხიდებს შორის
5.	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, მდ.ჩაქვისწყალი, ავარიული გზის ფერდობის გასწვრივ
6.	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, მდ.ჩაქვისწყლის შესართავთან
7.	ქ. ქობულეთში, ბუღვარის ტერიტორიაზე შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ნაპირდამცავი კედლის ძირის გამაგრებითი სამუშაოები
8.	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში საყრდენი კედლის გამაგრებითი სამუშაოები და წაქცეული ტერასის აღდგენითი სამუშაოები
9.	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვში, მდ. ჩაქვისწყლის მარჯვენა სანაპიროზე მოსახლეობის დასაცავად დატბორვის საწინააღმდეგო ნაგებობის მოწყობა
10.	ქობულეთის რაიონი, დაბა ჩაქვში მდ. ჩაქვისწყალზე, ბეტონის დეზის სათავე ადგილის გამონოლითება და დაზიანებულ ბეტონ-ბეტონის კედლის აღდგენა
11.	ქ. ქობულეთში სანაპირო ზოლში პლაჟის აღდგენის სამუშაოები (ხელოვნური პლაჟის შექმნა)



**საქართველოს მდინარეებზე შესრულებული
ნაპირსამაგრი სამუშაოები
2007 წელი**

№	ობიექტი
1	დაბა აბასთუმანში, სამშობიარო სახლის მიმდებარე ტერიტორიის დასაცავად, მდ. აბასთუმნისწყალზე დაზიანებული ნაპირდამცავი კედლის აღდგენის პროექტი
2	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუგეულთან მდ. დიონზე ნაპირდამცავი ნაგებობის პროექტი
3	ქამბროლაურში, გამსახურდიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე კრისულაზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი
4	ქალაქ გორში მდინარე ღიახეის ნაპირსამაგრი ნაგებობების პროექტი
5	მდინარე ბჟუვასზე, ქალაქ ოსურგეთში, დანგრეული საყრდენი კედლის აღდგენა, ახალი ნაპირსამაგრების მოწყობა
6	ლაგოდეხის რაიონში ჭიაურის ტყის მდინარეთა კალაპოტების რეგულირება
7	ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟიჟოლეთში ნაპირდამცავი ნაგებობის პროექტი
8	ქალაქ ონის ყოფილი პირველი საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. რიონის ნაპირსამაგრი ნაგებობა



2008 წელი

№	ობიექტი
1	დ. ღუნტეხში და სოფ. ღუხსურაში (გაღმა) მდ. ცხენიწყალზე ნაპირდამცავი ნაგებობის პროექტი
2	ღუნტეხის რაიონის სოფ. ხერიაში მდ. ჩხენიწყალზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი
3	ღუნტეხის რაიონის სოფ. ღუხსურაში ღვარცოფულ ხევზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი
4	ღუნტეხის რაიონის სოფ. მულეში მდ. ცხენიწყალზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი
5	ღუნტეხის რაიონის სოფ. გვიმბრალაში, გვიმბრალას ღელეზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი
6	ამბროლაურის რაიონის სოფ. ღვიარაში მდ. ღიონზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი
7	ამბროლაურის რაიონის სოფ. ხიდიკარში მდ. ღიონზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი
8	ონის რაიონის, სოფ. ჭალში მდ. ჭალურაზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი
9	ადიგენის რაიონის, სოფ. ვარხანში მდ. ოცხაზე გაწმენდითი საშუალებების პროექტი
10	უფელისციხის ისტორიული კომპლექსის ტერიტორიაზე მდ. ტკვარზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი
11	ქ. გორში 26 მაისის სანაპიროზე მდ. იახეზე ნაპირდამცავი ნაგებობის პროექტი
12	სამტრედიის რაიონში, სოფ. ილორთან, მდ. ცხენიწყალზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი
13	წაღენჯიხის რაიონის სოფ. საჩინოში, მდ. ინწირზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი



2009 წელი

№	ობიექტი
1	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩოხატაური მდ.სუფსაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები (I ეტაპი)
2	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ.დარჩელი მდ.ჯუმზე, ქვანაყარი ნაპირგასწვრივი ნაგებობის მოწყობა
3	ხაგარეჯოს მუნიციპალიტეტი, ყანდაურას ხეზე ნაპირსამაგრი სამუშაოები
4	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, დაბა შორაპანი, მდ.ვეერილაზე, ბეტონის კედლის მოწყობა
5	ქ. ქუთაისი, ბოტანიკური ბაღი, მდ.რიონის მიმდინარე ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება
6	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ.აღლაკლიაში,მდ.მტკვრის მიმდინარე ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება
7	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდისთავი მდ. გუბაზოულზე ნაპირსამაგრი სამუშაოები (I ეტაპი)
8	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბადლოჯიანი, მდ. შოროხევი, ნაპირსამაგრი სამუშაოები
9	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. მენჯი. ნაპირსამაგრი სამუშაოები მდ.ციეზე
10	დენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოფურა, მდ. ხოფურა, ნაპირსამაგრი ბეტონის კედელი, 20მ.
11	დენტეხის მუნიციპალიტეტი, დაბა დენტეხი ნაპირსამაგრი სამუშაოები მდ.ცხენისწყალზე
12	ქ. ხაშური, მდ. სურამულა, ქიმერიძეების უბანი, ნაპირსამაგრი სამუშაოები
13	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი დაბა ამბროლაური, ჯანელიძეების უბანი. ნაპირსამაგრი სამუშაოები
14	ქ. ამბროლაური, საცხოვრებელი უბანი, ნაპირსამაგრი სამუშაოები მდ. კრიხულაზე
15	ვანის რაიონის სოფ.ჭყვიში, მდ.რიონის მარცხენა ნაპირის დაცვა ვალაკტონ ტაბიძის სახლ-მუზეუმთან
16	დაბა ჩახატაური მდ.სუფსის მარჯვენა ნაპირის გამაგრება (II ეტაპი)



17	ქოზურგეთი. მდ.სკურნას ნაპირების გამაგრება
18	ჩახატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ ხიდისთავი. მდ.გუბაზოულის ნაპირგამაგრება (II ეტაპი)
19	ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ ვარხანში მდ აბასოუმნის წყალზე ნაპირდამცავი ბერმის მოწყობა
20	აბაშის მუნიციპალიტეტის, ქ. აბაშაში მდ. რიონზე დატბორვის საწინააღმდეგო მიწის დამბის აღდგენა
21	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. პერეთისკარი, ნაპირსამაგრი სამუშაოები
21	ქ. წალენჯიხა, მდ. ჭანისწყალი ნაპირსამაგრი სამუშაოები
22	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, დ. ჯვარი, ღვარცოფული ხევი. ნაპირსამაგრი სამუშაოები
23	ცაგერის მუნიციპალიტეტი, დაბა ცაგერი. ნაპირსამაგრი სამუშაოები მდ.ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე
24	ქონი (გვოლოგების უბანი) ნაპირსამაგრი სამუშაოები მდ.რიონზე
25	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ.ყანდაურა, შეშქელაანთ ხევი. ღვარცოფული წყლის კალაპოტის შეცვლის მიწის სამუშაოები
26	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, წიფლის ხევი, ნაპირსამაგრი სამუშაოები
27	სიდნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. ერისიშედი. მდ.ბელაქანში, ნაპირსამაგრი სამუშაოები
28	ცაგერი. სოფ.ორბელი. მდ.ლაჯანურაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები
29	ქონი (თბილისის ქუჩა)
30	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ენისელი. ნაპირსამაგრი სამუშაოები მდ.ინწობზე
31	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, კურორტი საირმე მდ. წაბლნარის წყალი (2 უბანი). ნაპირსამაგრი სამუშაოები
32	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ.ურავი. ნაპირსამაგრი სამუშაოები მდ.ღუხუნზე
33	მესტიის მუნიციპალიტეტის ლაღამის ხევში ნაპირსამაგრი სამუშაოები
34	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.ჩეაბლიანში ნაპირსამაგრი სამუშაოები ხევში
35	ქქუთაისში, რიონის წყალმიმდები ნაგებობების ქვედა ბიუფში მდ.რიონის მარცხენა ნაპირის დამცავი საყრდენი კედლის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები



36	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მამადაანევი, მდ. იორი, ნაპირსამაგრი სამუშაოები
37	ღანჩხუთის რაიონში, სოფ.აცანაში, მდ.აცანაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები
38	ქთულაეში, თელავის ხევის გაწმენდითი სამუშაოები
39	ნოხატაურის რაიონში, სოფ.ერკეთში, მდ.სუფსაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები
40	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.მაჭერის დასაცავად ნაპირსამაგრი სამუშაოები ხევში
41	ღაბა ღუნტეხი, მდ.ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე არსებული ავარიული ბეტონის კედლის აღდგენა
42	ქ.ზუგდიდი, მდ.ჩხოვში ნაპირდამცავი ნაგებობა
43	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. კარკუნა, მდ.სნოსწყალზე ნაპირდამცავი ნაგებობა
44	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ.გორისციხე, სოფელზე გამაგალი ხევის ნაპირსამაგრი ნაგებობა
45	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. სნო, მდ.სნოსწყალზე ნაპირდამცავი ნაგებობა
46	ქტციბული, მდ.ტციბულას კალაპოტის გაწმენდა
47	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ.მადაროსკარი, ნაწოვას ხევი, მდ. ფშავის არაგვის ნაპირსამაგრი სამუშაოები-მარჯვენა ნაპირის გამაგრება ნაპირდამცავი დამპობით



2010 წელი

1.	წალკის მუნიციპალიტეტი - წალკის წყალსაცავის შემომზადდავი დამბის აღდგენითი სამუშაოები ორ უბანზე
2.	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ. დასურიაშის საშუალო სკოლის მიმდებარედ, მდ. ჩხენისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები და ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. რცხმელურაში საშუალო სკოლის მიმდებარედ მდ. ჩხენისწყალზე ნაპირსამაგრი სამუშაოები
3.	ამბროლაურის რაიონში, სოფ. ჭრებალოში მდ. ასკზე ნაპირსამაგრი ნაგებობის სამუშაოები
4.	ყვარელის რაიონის სოფ. ენისელში, მდ. ინწობაზე ნაპირსამაგრი ნაგებობის სამუშაოები
5.	დაბა ლენტეხში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდ. ხელედურას მარჯვენა სანაპიროზე ნაპირსამაგრი ნაგებობის სამუშაოები
6.	მდინარე აცანას მარჯვენა ნაპირის დაცვა ღანჩხუთის რაიონის სოფ. აცანაში(II ეტაპი)
7.	აბაშის რაიონის კეთილარის თემში მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა
8.	მცხეთის რაიონი, სოფ. აღდგომიანთ კარში ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი
9.	ყვარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ხაცხენისში, მდ. შორთხევეზე ნაპირსამაგრი ნაგებობის პროექტი
10.	ჩოხატაურის რაიონი, სოფ. გუთურში მდ. შაკირიას მარცხენა ნაპირის გამაგრება
11.	ყაზბეგის რაიონი, სოფ. ორისციხე-ფხელშეს საავტომობილო ხიდის მარჯვენა ბურჯის გამაგრება



15/03-11
15.04 2011



პროკრედიტის ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ProCredit Bank, 154 Agmashenebeli Ave., 0112 Tbilisi, Georgia
პროკრედიტის ბანკი, აღმაშენებლის გამზ. 154, 0112 თბილისი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
204559691
აღმაშენებლის გამზ. №150
თბილისი
საქართველო

თბილისი-ცენტრალური ფილიალი
განყოფილება

ფერმი : სოფო კოკაშვილი
ტელეფონი : +995 32 202222 (შობა. 2704)
ელ-ფოსტა : s.kokashvili@procreditbank.ge
თარიღი : 15.04.2011

გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს (ს/კ 204559691) კუთვნილ საღარე და მულტი-საფაღურ ანგარიშებზე ს/ს "პროკრედიტ ბანკში" 2011 წლის 15 აპრილის (13:30 სთ.) მდგომარეობით არ არის წარმოდგენილი ხაინკასო დავალება.

პატივისცემით,

ანა სამანიშვილი
კლიენტთა მომსახურების განყოფილების უფროსის მოადგილე

ს.ს. "პროკრედიტ ბანკი", საქართველო

ISC ProCredit Bank, Georgia
სს. პროკრედიტ ბანკი, საქართველო
Tax-Reg.-No: 204851197
info@procreditbank.ge
www.procreditbank.ge

Head-Office
D. Agmashenebeli Ave. 154
0112 Tbilisi
Tbilisi-Central Branch
D. Agmashenebeli Ave. 154
0112 Tbilisi

საბაგო ოფისი
D. აღმაშენებლის გამზ. 154
0112 თბილისი
თბილისი-ცენტრალური ფილიალი
D. აღმაშენებლის გამზ. 154
0112 თბილისი

Tel./კვი: (+995 32) 202222
Fax/ფაქსი: (+995 32) 202222 (ext. 2266)
Tel./კვი: (+995 32) 202222
Fax/ფაქსი: (+995 32) 202222 (ext. 2276)



საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 7

ქ. თბილისი

„13“ „04“ 2011წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 დეკემბრის N N1061 ბრძანებულების პირველი და მე-5 პუნქტების და „საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის N132 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ თანდართული დებულება;
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის- „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 29 აგვისტოს N611 ბრძანება.

Handwritten signature

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი



Handwritten signature

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - "გარემოს ეროვნული სააგენტო" (შემდგომში სააგენტო) არის საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 დეკემბრის 1061 ბრძანებულების საფუძველზე. სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც სახელმწიფო კონტროლის ქვეშ დამოუკიდებლად ახორციელებს საქმიანობას.

2. სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, სამინისტროს დებულებით, გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. სააგენტო საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ, მოპასუხედ და მესამე პირებთან ურთიერთობაში.

4. სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, ემბლემა, სიმბოლიკა, კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემული ქონება, ანგარიში ხაზინაში და ანგარიშები ბანკში (მათ შორის სავალეტო), იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

5. სააგენტოს იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150.

მუხლი 2. სააგენტოს მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

სააგენტოს მიზნები, ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე, მდინარეთა აუზებსა და წყალსატევებში, შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შეღწეზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული და მოსალოდნელი ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოდინამიკური პროცესების, გეოეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების და გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოლოგიური, შავი ზღვის ჰიდრო და ლითოდინამიკური, გარემოს (ატმოსფერული ჰაერი, ზედაპირული და შავი ზღვის წყლები, ნიადაგები) დაბინძურების, ბუნებრივი რადიაციული ფონის და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის წარმოება,

ურთიერთთავსებადი სისტემების შექმნა და მათი გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და გარემოს დაბინძურებაზე დაკვირვების მონაცემების ოპერატიულად შეკრება და ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე დადგენილი წესით გავრცელება;

დ) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და გარემოს ხარისხობრივი ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასება, შესაბამისი ინფორმაციული პროდუქციის მომზადება და გავრცელება;

ე) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური პირობების და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზების შემუშავება და სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, დაინტერესებული სამინისტროების, უწყებების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიწოდება;

ვ) საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების და გარემოს ექსტრემალურად მაღალი დაბინძურების შესახებ სპეციალური გაფრთხილებების მომზადება და დადგენილი წესით სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, დაინტერესებული სამინისტროების, უწყებების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის დაუყოვნებლივ მიწოდება;

ზ) არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ მოვლენებზე (თოვლის ზვავები, სეტყვა, წისლი, ნალექების დეფიციტი, მენწყერი, ღვარცოფი) ხელოვნური ზემოქმედების სამუშაოების წარმოება;

თ) საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი და ანთროპოგენული კატასტროფების, მათ შორის ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და ანთროპოგენული ფაქტორებით გამოწვეული გაუდაზნოების და მიწის დეგრადაციის პროცესების შერბილების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ი) საქართველოს ტერიტორიაზე გეოლოგიური გარემოს ანთროპოგენული ცვლილებების გეოეკოლოგიური შესწავლა-შეფასება;

კ) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური სტიქიის ზონებიდან მოსახლეობის გასახლების აუცილებლობის დადგენა, ეკომიგრანტების განსახლების არეალების განსაზღვა და შეფასება;

ლ) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და ეკოლოგიური საშიშროების რისკების შეფასება და მოსალოდნელი ზიანის განსაზღვრა;

მ) სხვადასხვა ობიექტების პროექტირების ყველა სტადიაზე საინჟინრო-გეოლოგიური, გეოტექნიკური, ჰიდროგეოლოგიური და ეკოლოგიური კვლევების წარმოება;

ნ) გარემოზე ანთროპოგენული ზემოქმედების შესწავლა და საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური საკონსულტაციო სამუშაოების ჩატარება საკარმიდამო ნაკვეთების და საცხოვრებელი სახლების მდგრადობის მდგომარეობის შესაფასებლად;

ო) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების ასათვისებლად, სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების დადგენის და აცილების მიზნით წინმსწრები, სპეციალური საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების მომზადება;

პ) შავი ზღვის აუზის ჰიდრო და ლითოდინამიკური კვლევა და პროცესების პროგნოზირება ზღვიური ლანდშაფტის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით;

ჟ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიის და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციული ფონდების შექმნა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მონაცემთა ბაზების ფორმირება;

რ) ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ამსახველ მიმდინარე და მრავალწლიურ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და შესამამისი ანგარიშების, ბიულეტენების, მიმოხილვების და სხვა სახის საცნობარო მასალების მომზადება;

ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიის და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სფეროებში მომხმარებელთათვის მომსახურების გაწევა;

ტ) ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგის საწარმოებლად საჭირო ხელსაწყო-დანადგარების და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების სამონტაჟო-საინსტალაციო და სარემონტო სამუშაოების წამოება, გაზომილი პარამეტრების სიზუსტის კონტროლის უზრუნველყოფა;

უ) ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიის და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სფეროებში ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე სტაჟირებისა და ტრენინგების ორგანიზება;

ფ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება;

ქ) კომპეტენციის ფარგლებში ნიადაგის ეროზია-დეგრადაციის და ნაყოფიერების მონიტორინგი;

ღ) გარემოში ქიმიურ ნივთიერებით და ნარჩენებით გამოწვეული დაბინძურების მონიტორინგი;

ყ) ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიის და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სფეროებში სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრაში, შესაბამის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

შ) ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიის და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სფეროებში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება, ამ სფეროებში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ჩ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყლის მონიტორინგის წარმოება;

ც) ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიის და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სფეროებში დონორ ორგანიზაციებთან და ქვეყნებთან სხვადასხვა პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ძ) სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრების, წინადადებების განხილვა, შეაზამისი გადაწყვეტილებების მიღება, საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მჭიდრო ურთიერთობის უზრუნველყოფა;

წ) კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 3. სააგენტოს მართვა

1. სააგენტოს ერთპიროვნულად ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი.

2. სააგენტოს უფროსს ჰყავს ორი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი, რომელთაც საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრთან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს სააგენტოს უფროსი. უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პირველი მოადგილე.

3. სააგენტოს უფროსი:

ა) მოქმედებს სააგენტოს სახელით, დებს ხელშეკრულებებს, წარმოადგენს სააგენტოს სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთებაში თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;

ბ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს. მათ მიმართ იყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;

გ) სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს სააგენტოს საშტატო განრიგს;

დ) პერსონალურად აგებს პასუხს სააგენტოს ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივ და სწორ ხარჯვაზე;

ე) კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით ქმნის და აუქმებს დროებით სამუშაო ჯგუფებს;

ვ) საჭიროების შემთხვევაში იწვევს სპეციალისტებს შრომითი ხელშეკრულებით კონკრეტული სამუშაოების შესასრულებლად;

ზ) დადგენილი წესით, წარუდგენს სამინისტროს ანგარიშებს სააგენტოს საქმიანობის შესახებ;

თ) გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ი) ასრულებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. სააგენტოს სტრუქტურა

სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ბ) ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი;

გ) გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი;

დ) გეოლოგიური საშიშროების მართვის დეპარტამენტი;

ე) გარემოსდაცვითი ინფორმაციის სამსახური.

მუხლი 5. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფუნქციებია:

- ა) სააგენტოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- ბ) სააგენტოში შემოსული და სააგენტოდან გასული კორესპოდენციების რეგისტრაცია, მათი შესრულების უზრუნველყოფა და კონტროლი;
- გ) სააგენტოს ხელმძღვანელობის დავალებების შესრულების უზრუნველყოფა და კონტროლი;
- დ) სააგენტოს მიერ გაწეული ფასიანი მომსახურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის გაფორმების უზრუნველყოფა;
- ე) სააგენტოს მიერ განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელების უზრუნველყოფა;
- ვ) სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ზ) სააგენტოს საქმიანობის საფინანსო და ბუღალტრული უზრუნველყოფა;
- თ) სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვა.

2. ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე, მდინარეთა აუზებსა და წყალსატევებში, შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შეღწეზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში:

ა.ა) სტანდარტული და სპეციალიზირებული (თანამგზავრული, აეროლოგიური, რადიოლოკაციური, ოზონომეტრული, აქტინომეტრული, გლაციოლოგიური, თოვლსაზვავე, აგრომეტეოროლოგიური, საზღვაო, საავიაციო და სხვა) რეგულარული სტაციონალური ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის (სადგურები, საგუმავები) ორგანიზება და მისი გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ა.ბ) სპეციალიზირებული ექსპედიციური ჰიდრომეტეოროლოგიური სამუშაოების წარმოება (სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების გამომწვევი მიზეზების და მათი გავრცელების არეალის დადგენა, ამ მოვლენებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების დადგენაში მონაწილეობის მიღება, მდინარეთა აუზების მთიან და მაღალმთიან ზონებში დაგროვილი თოვლის მარაგის ყოველწლიური შეფასება, მყინვარებზე მიმდინარე პროცესების შესწავლა, საზღვაო-ოკეანოლოგიური დაკვირვებების წარმოება და სხვა);

ბ) ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის ტექნიკური უზრუნველყოფა - გამზომი საშუალებების სამონტაჟო-საინსტალაციო-სარემონტო სამუშაოების წარმოება;

გ) ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის რეგულარული მეთოდური ინსპექტირება;

დ) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელიდან მონაცემთა შეკრებისა და ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ოპერატიულად (დღე-ღამურ რეჟიმში) გავრცელების უზრუნველყოფა;

ე) მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გლობალური მეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელიდან და ამინდის მსოფლიო პროგნოსტიკული ცენტრებიდან მეტეოროლოგიური მონაცემების და სინოპტიკური პროდუქციის რეგულარულად (დღე-ღამურ რეჟიმში) მიღების, ვიზუალიზაციის, დამუშავების და ანალიზის უზრუნველყოფა;

ვ) ამინდის და ჰიდროლოგიური მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი საერთო დანიშნულების პროგნოზების შედგენა და გავრცელება;

ზ) საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ გაფრთხილებების მომზადება და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების, დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების და მასმედიის საშუალებებისთვის დაუყოვნებლივ მიწოდება;

თ) ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების მონაცემთა ფონდის შევსება, მათი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, პირველადი დამუშავება და ხარისხის კონტროლის განხორციელება;

ი) ჰიდრომეტეოროლოგიურ პირველად მონაცემთა მრავალწლიური რიგების სისტემატიზაცია და მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ დადგენილ სტანდარტებთან ჰარმონიზებული მონაცემთა ბაზების ფორმირება;

კ) მრავალწლიურ ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება, მათი GIS ფორმატში წარმოდგენა;

ლ) კლიმატური ცნობარების, ჰიდროლოგიური კადასტრების, ჰიდრომეტეოროლოგიური ბიულეტენების, მიმოხილვების და სხვა სახის საცნობარო მასალების მომზადება;

მ) გლობალური კლიმატის ცვლილების ფონზე, საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური პარამეტრების ცვლილების დინამიკის შესწავლა;

ნ) სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის მიხედვით ქვეყნის ტერიტორიის დარაიონება;

ო) ეკონომიკის სხვადასხვა დარგების (სოფლის მეურნეობა, ენერჯეტიკა, სამხედრო და სამოქალაქო ავიაცია და საზღვაო ფლოტი, საავტომობილო და სარკინიგზო გზები, მშენებლობა, ტურიზმი და სხვა), სხვა დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალიზირებული ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციით და ინფორმაციული პროდუქციით, აგრეთვე სხვა სახის ჰიდრომეტეოროლოგიური საქმიანობით (მომხმარებლის დაკვეთით ექსპედიციური და სტაციონალური ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებების ორგანიზება, ჰიდრომეტეოროლოგიური გაშვების საშუალებების სამონტაჟო-საინსტალაციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარება და სხვა) მომსახურება;

პ) არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე (თოვლის ზეგებები, სეტყვა, გვალვა, ნისლი) აქტიური ზემოქმედების სამუშაოების ორგანიზება და წარმოება;

ჟ) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური საშიშროების რისკების შეფასება და მოსალოდნელი ზიანის განსაზღვრა;

რ) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური სტიქიის ზონებიდან მოსახლეობის გასახლების აუცილებლობის დადგენა, ეკომიგრანტების განსახლების არეალების განსაზღვრა და შეფასება;

ს) შავი ზღვის აუზის ჰიდრო და ლითოდიანამიკური კვლევა და პროცესების პროგნოზირება ზღვიური ლანდშაფტის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით;

ტ) ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

უ) კონსპექტის ფარგლებში, ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობაში მონაწილეობის მიღება.

3. გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დონის ბუნებრივი და ანთროპოგენული დატვირთვით გამოწვეული დაბინძურების ხარისხის დადგენა, ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების სტაციონალური პუნქტებისა და ცქსპედიციების მეშვეობით ატმოსფერული ჰაერის, წყლების, ატმოსფერული ნალექების, შავი ზღვის და ნიადაგის ქიმიური, ბიოლოგიურ და მიკრობიოლოგიურ დაბინძურებაზე, აგრეთვე ბუნებრივ რადიაციულ ფონზე რეგულარული დაკვირვების წარმოება და გარემოს ფიზიკური ფაქტორების (ელექტრომაგნიტური ველი, ხმაური და ვიბრაცია) დონეების განსაზღვრა;

ბ) ზღვის, მისი სანაპირო ეკოსისტემების, მდინარეების და შიდა წყალსატევების ბიომრავალფეროვნების და ბიოლოგიური მონიტორინგი, წყლის ეკოსისტემების სხვადასხვა კომპონენტების (ბაქტერიო-ზოოპლანქტონი, მაკროზოობენტოსი, იქტიოფაუნა, ზღვის მუტუმიწოვრები და სხვა) კვლევა და მის საფუძველზე დასკვნების, რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება;

გ) გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ მონაცემების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, პირველადი დამუშავება და ხარისხის კონტროლის განხორციელება;

დ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შესახებ ოპერატიული ინფორმაციით;

ე) გარემოს ექსტრემალურად მაღალი დაბინძურების ფაქტების გამოსავლენად სამუშაოებში მონაწილეობის მიღება;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების შედეგად მიყენებული ზიანის შეფასებაში მონაწილეობა;

ზ) საქართველოს ტერიტორიაზე ეკოლოგიური საშიშროების რისკების შეფასება და მოსალოდნელი ზიანის განსაზღვრა) გარემოს დაბინძურების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციების შემცველი წელიწადეულების, ბიულეტენების, მიმოხილვების, ცნობებისა და სხვა მასალების მომზადება;

თ) დამკვეთებთან გაფორმებული ხელშეკრულებები საფუძველზე გარემოს დაბინძურების წყაროების და ემისიების გამოკვლევა და მონიტორინგის წარმოება, გამწვანდი ნაგებობების და მტვერაირდამჭერი მოწყობილობების ეფექტურობის დადგენა; მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის და ჩაშვების ნორმათა პროექტების შემუშავება;კ) ნიადაგის დაბინძურების წყაროების დადგენა;

ი) გარემოში ქიმიურ ნივთიერებით და ნარჩენებით გამოწვეული დაბინძურების მონიტორინგი, კომპეტენციის ფარგლებში ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობაში მონაწილეობის მიღება.

4. გეოლოგიური საშიშროების მართვის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) დასახლებულ პუნქტებში სტიქიურ-კატასტროფული გეოლოგიური პროცესების ექსტრემალური გააქტიურების პირობებში სიტუაციის ოპერატიული

შეესაბინა, უარყოფითი შედეგების დადგენა, საშიშროების რისკის განსაზღვრა, საგანგებო სიტუაციაში მოქმედი მოსახლეობისათვის რეკომენდაციების გაცემა და სათანადო დასკვნების მომზადება გადაუდებელი ღონისძიებების გასატარებლად;

ბ) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სტიქიურ გეოლოგიურ პროცესებზე და გეოლოგიური გარემოს ანთროპოგენულ ცვლილებებზე გეომონიტორინგული კვლევების პერმანენტული წარმოება ყველა იერარქიულ დონეზე - დაკვირვების კონტროლის პარამეტრებიდან დაწყებული, პროგნოზისა და მართვის ჩათვლით. ყოველწლიური ინფორმაციული ბიულეტენის მომზადება მოსალოდნელი საშიშროების რისკისა და გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების დასახვით, ცალკეული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით;

გ) ყველა მასშტაბის (მათ შორის სპეციალური) საინჟინრო-გეოლოგიური, საინჟინრო-გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური კვლევების წარმოება, ტერიტორიის მდგრადი ათვისების, სამეურნეო და საინჟინრო ობიექტების საიმედოდ განლაგებისა და გეოლოგიური გარემოს ოპტიმალური მართვის მიზნით;

დ) საქართველოს მოსახლეობის დაცვისა და საინჟინრო-სამეურნეო ობიექტების საიმედო ფუნქციონირებისათვის სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობის და საშიშროების რისკის ზონირების საბაზისო რუკების დამუშავება;

ე) საშიში გეოლოგიური პროცესების განმეორადობის სიხშირის და ინტენსივობის მიხედვით საქართველოს ტერიტორიის დარაიონება გრძელვადიანი პროგნოზის მიმართებაში;

ვ) ზუნების სტიქიური პროცესებისა და გეოლოგიური გარემოს ცვლილებების შესახებ მიღებული შედეგების მეცნიერული დამუშავება, ეროვნულ და საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში შესატანად;

ზ) მსხვილი სამეურნეო ობიექტების პროექტების საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური ექსპერტიზა გარემოს შესაძლო ცვლილებებზე ზეგავლენის მასშტაბების დასადგენად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

თ) გეოლოგიური სტიქიის მდგომარეობის, საშიშროების რისკისა და გეოლოგიური გარემოს ცვლილებების საინფორმაციო ბაზის შექმნა დროისა და სივრცის პარამეტრებში, არსებული გეოლოგიური ფონდურის მასალის და მიმდინარე მონიტორინგული კვლევებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე;

ი) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების ასათვისებლად, სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების დადგენის და აცილების მიზნით წინმსწრები, სპეციალური საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების მომზადება;

კ) საქართველოს ტერიტორიაზე გეოლოგიური გარემოს ანთროპოგენული ცვლილებების გეოეკოლოგიური შესწავლა-შეფასება;

ლ) საქართველოს ტერიტორიაზე გეოლოგიური საშიშროების რისკების შეფასება და მოსალოდნელი ზიანის განსაზღვრა;

მ) საქართველოს ტერიტორიაზე გეოლოგიური სტიქიის ზონებიდან მოსახლეობის გასახლების აუცილებლობის დადგენა, ეკომიგრანტების განსახლების არელების განსაზღვრა და შეფასება;

ბ) მიწისქვეშა წყლების მდგომარეობაზე მონიტორინგული კვლევების წარმოება;

5. გარემოსდაცვითი ინფორმაციის სამსახური ფუნქციონირებს:

ა) სააგენტოს ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ შექმნილი პროდუქტის ციფრულ ფორმატში გადაყვანა, ინფორმაციული უზრუნველყოფა და ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა. ციფრული ინფორმაციის განახლება, დაცვა, არქივირება, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება;

ბ) ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და საინფორმაციო-საცნობარო სისტემის უსაფრთხო დაცვა.

გ) სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებული პირებისათვის მომსახურების გაწევის მიზნით შესაბამისი ინფორმაციის მომზადება;

მუხლი 6. სააგენტოს საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. სააგენტო სამინისტროს თანხმობით ახორციელებს შემდეგ ქმედებებს:

ა) უძრავი ქონების შეძენა, სააგენტოს საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე სააგენტოს მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებები სააგენტოს ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად საჭიროა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

3. სააგენტოს სამინისტროს თანხმობით, უფლება აქვს მისთვის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს/გაასხვისოს სხვა პირზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. სააგენტოს ქონება

1. დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად სააგენტოს გადაეცემა ქონება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სააგენტოს ქონებას შეადგენს მის მფლობელობაში არსებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, რომელიც აისახება მის დამოუკიდებელ ბალანსში.

3. სააგენტოს ქონება შეიძლება გაიზარდოს საკუთარი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა წყაროების ხარჯზე.

მუხლი 8. სააგენტოს საბუღალტრო აღრიცხვა ანგარიშგება და საფინანსო საქმიანობა

1. სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოებს საბუღალტრო და საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, აღრიცხვა-ანგარიშგებას, ადგენს ბალანსს და დახამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.

2. სააგენტოს წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი;

3. სააგენტოს დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს:

